

### ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.  
**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**  
**პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

ყურადღებით გაეცანიტ ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ბელმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი სახის აღნიშვნები, არ გასწორდება.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისთვის განკუთვნილი ადგილები.

დავალებაში - «არჩევითბოლოიანი კითხვა» - თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა – ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. სხვა ტიპის დავალებებში შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ და ბემოთ დააწეროთ სწორი პასუხი. ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

გაითვალისწინეთ, ტესტის ბუკლეტს თან ახლავს რუკები, რომელთა გამოყენება შეგიძლიათ სხვადასხვა დავალების შესრულების დროს.

ტესტზე სამუშაოდ აბიგურიენგს ეძლევა 3 საათი. შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

**ვისურვებთ წარმატებას!**

**ინსტრუქცია**

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თითოეული დაგალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რა ეწოდება მეთოდს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სივრცეში განლაგებული გეოგრაფიული მონაცემების მოპოვება-შეკრება, შენახვა და კომპიუტერული ანალიზი?

- ა. სოციოლოგიური
- ბ. გეოსაინფორმაციო
- გ. შედარებითი
- დ. აეროკოსმოსური

(1) 2. რომელ საუკუნეებში იყო საქართველოს ტერიტორიის ფართობი ყველაზე დიდი (დაახლ. 145 ათასი კვ.კმ)?

- ა. IX–X სს.
- ბ. XII–XIII სს.
- გ. XV–XVI სს.
- დ. XIX–XX სს.

(1) 3. რომელი ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენა უკავშირდება დედამიწის გარეგანი (ეგზოგენური) ძალების მოქმედებას?

- ა. მეწყერი
- ბ. მიწისძვრა
- გ. ცუნამი
- დ. ვულკანიზმი
- ე. მაგმატიზმი

(1) 4. საქართველოს რომელ მდინარეს ახასიათებს ღვარცოფული მოვლენები?

- ა. ქსანს
- ბ. ფსოუს
- გ. დურუჯს
- დ. შარეულას

(1) 5. რომელი ქვეყანა არ შედის გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში?

- ა. უელსი
- ბ. ინგლისი
- გ. ირლანდია
- დ. შოტლანდია

(1) 6. რომელი ევროპული ქვეყანა გამოირჩევა ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგით?

- ა. ნორვეგია
- ბ. გერმანია
- გ. იტალია
- დ. საფრანგეთი
- ე. ესპანეთი

(1) 7. გეოგრაფიის რომელი მიმართულების შემადგენელი ნაწილებია: ეკონომიკური გეოგრაფია, სოციალური გეოგრაფია, მოსახლეობის გეოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია?

- ა. საბუნებისმეტყველო
- ბ. გეოდეზიური
- გ. კარტოგრაფიული
- დ. საზოგადოებრივი

(1) 8. რომელი მდინარე წარმოადგენს ევროპის სატრანსპორტო არტერიას?

- ა. სენა
- ბ. თემზა
- გ. ვოლგა
- დ. ლუარა
- ე. დუნაი

(1) 9. საქართველოს რომელ რაიონში გვხვდება ჩაის პლანტაციები?

- ა. გორი
- ბ. ტყიბული
- გ. გურჯაანი
- დ. წალკა

(1) 10. საქართველოს რომელ რეგიონშია განვითარებული მეტალურგიული წარმოება?

- ა. გურიაში
- ბ. ქვემო ქართლში
- გ. აჭარაში
- დ. სამეგრელოში
- ე. კახეთში

(1) 11. საქართველოს რომელ სამხარეო ერთეულებს არ ესაზღვრება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა?

- ა. მცხეთა-მთიანეთს
- ბ. შიდა ქართლს
- გ. რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს
- დ. სამეგრელო-ზემო სვანეთს

(1) 12. რომელი არ მიეკუთვნება ნავთობმომპოვებელ რეგიონს?

- ა. სპარსეთის ყურე
- ბ. გვინეის ყურე
- გ. კარიბის ზღვა
- დ. არაბეთის ზღვა

(1) 13. რომელი სახელმწიფოს პოლიტიკური ჰეგემონიის პერიოდი იყო მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების ახალი პერიოდის ბოლოს (XIX ს-დან I მსოფლიო ომამდე)?

- ა. პორტუგალიის
- ბ. აშშ-ის
- გ. ესპანეთის
- დ. გაერთიანებული სამეფოს
- ე. საფრანგეთის

(1) 14. რომელი გეოგრაფიული ობიექტი არ მიეკუთვნება კავკასიას?

- ა. ერუშეთის მთიანეთი
- ბ. ლენქორანის დაბლობი
- გ. ელდარის დაბლობი
- დ. ყუბანისპირა დაბლობი
- ე. ლაზისტანის ქედი

**ინსტრუქცია**

დავალებაში მოცემული ჩამონათვალიდან თავდაპირველად შეარჩიეთ 3 ან 4 გეოგრაფიული ობიექტი, შემდეგ კი დაალაგეთ მითითებული პრინციპის (მაგალითად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ) თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების შესაბამისი ციფრის მეშვეობით. თითოეული დავალება მაქსიმუმ 2 ქულით ფასდება.

(2) 15. ექვსიდან შეარჩიეთ დასავლეთ საქართველოში მდებარე ოთხი ოროგრაფიული ერთეული და დაალაგეთ ისინი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით:

1. მესხეთის ქედი
2. კოდორის ქედი
3. რაჭის ქვაბული
4. ქვემო ქართლის ვაკე
5. ლეჩხუმის ქედი
6. შირაქის ვაკე

(2) 16. თქვენს ამოცანაა ტვირთი გემით გერმანიიდან შავ ზღვამდე ჩაიტანოთ. ხუთიდან ამარჩიეთ ის სამი ქალაქი, რომელსაც თქვენ გაივლით ამ მარშრუტზე და დაალაგეთ ისინი მარშრუტის შესაბამისად (დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ):

1. ბუდაპეშტი
2. ბრატისლავა
3. ბელგრადი
4. ვენა
5. მიუნხენი

### III – მრავალწერტილის შეესება

#### ინსტრუქცია

ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან თარიღების ნაცვლად ჩაწერეთ სწორი პასუხები. თითოეული გამოტოვებული ადგილი დანომრილია (1, 2, 3, 4). პასუხების ფურცელში 1-ით დანომრილ ადგილზე ჩაიწერება ის პასუხი, რომელსაც ტექსტში 1-ით აღნიშნულ გამოტოვებულ ადგილზე ჩაწერდით და ა.შ. თითოეული სწორი პასუხი 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

(3) 17. საქართველოს (1) . . . . . სახელმწიფო დეპარტამენტის 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო (2) . . . . . მონაცემების მიხედვით, საქართველოში დაიბადა 48,8 ათასი და გარდაიცვალა 47,4 ათასი კაცი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვასკენით, რომ მოსახლეობის (3) . . . . . მაჩვენებელმა მხოლოდ 1,4 ათასი კაცი შეადგინა.

სტატისტიკა, მექანიკური მოძრაობა, დინამიკა, იუსტიცია, რეესტრი, აღწარმოება, აღწერა, ბუნებრივი მოძრაობა, ქანქარისებური მოძრაობა.

(4) 18. საქართველო მსოფლიოში (1) . . . . . თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ქვეყანაა. ჩვენს ქვეყანაში 44 დაცული ტერიტორიაა, რომელთაგან 14 ნაკრძალის, ხოლო 8 ეროვნული პარკის სტატუსს ატარებს. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი დაახლოებით 4800 კვ.კმ-ის ტოლია და საქართველოს ტერიტორიის (2) . . . . . შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე უძველესია (3) . . . . . ნაკრძალი, რომელიც (4) . . . . . წელს დაარსდა.


5.9%,	ლანდშაფტური,	რიწის,	1892,	ბიოლოგიური,	7,9%,
სათაფლიის,	1902,	გეოლოგიური,	6,9%,	ლაგოდეხის,	1912.

#### IV - შესაბამისობების პოვნა

##### ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა თითოეული კითხვის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები უნდა ჩაწეროთ პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში (X ნიშანი უნდა დასვათ სწორი პასუხის ადგილას. მაგ.: „A“ და „5“-ის გადაკვეთაზე). თითოეული დავალება მაქსიმუმ 4 ქულით ფასდება.

(4) 19. ქვეყნების კონტურებს შეუსაბამეთ სახელმწიფოს სახელწოდებები:  
ქვეყნების კონტურები



##### სახელმწიფოები

1. მადაგასკარი
2. პაპუა-ახალი გვინეა
3. შრი-ლანკა (ცეილონი)
4. ჰაიტი
5. კუბა
6. ახალი ზელანდია

(4) 20. დაადგინეთ შესაბამისობა ბუნებრივ პირობებს, რესურსებს და საქართველოს სამხარეო ერთეულებს შორის:

**ბუნებრივი პირობები და რესურსები:**

- A. ამ მხარეში მდებარეობს ელდარისა და შირაქის ვაკე-დაბლობები, სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვებენ ნავთობს (სამგორ-პატარძეულის, მირზაანის და შირაქის საბადოები) და მარმარილოს (ღოპოტის საბადო)
- B. ამ მხარეში მდებარეობს ასხის მასივი და კოლხეთის დაბლობის ნაწილი, სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვებენ დარიშხანს (ცანის საბადო) და ტორფს (ფიჩორა-პალიასტომის მიდამოებში)
- C. ამ მხარეში მდებარეობს ხვამლის მასივი და მდ. ცხენისწყლის ზემო წელის ხეობა, სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ბარიტი (ჩორდის საბადო) და დარიშხანი (ღუხუნის საბადო)
- D. ამ მხარეში მდებარეობს ერუშეთის მთიანეთი და ახალქალაქის პლატო, სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვებენ ანდეზიტს (ბაკურიანის საბადო) და აქატს (აბასთუმნის მიდამოებში)

**სამხარეო ერთეულები:**

- 1. ქვემო ქართლი
- 2. სამცხე-ჯავახეთი
- 3. სამეგრელო-ზემო სვანეთი
- 4. კახეთი
- 5. მცხეთა-მთიანეთი
- 6. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი



(4) 21. დაადგინეთ შესაბამისობა ტერმინებსა და მათ განმარტებებს შორის:

განმარტებები:

- A. დედამიწის რელიეფის ფორმების ზოგადგეოგრაფიული მახასიათებლების (ზომების, სიმაღლეების, დახრილობების და ა.შ.) აღწერა-შესწავლა
- B. მდინარი წყლის მიერ ნიადაგის და ქანების გადარეცხვა
- C. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მეშვეობით, წყალში ადვილად ხსნადი ქანების გამორეცხვის შედეგად წარმოქმნილი რელიეფის ფორმები
- D. ზღვის, ტბის ან წყალსაცავის ტალღების მიერ ნაპირის ნგრევა. ამის შედეგად, სანაპიროზე იქმნება ტერასა და ბეჭი (კალთა)

ტერმინები:

- 1. აბრაზია
- 2. კარსტული
- 3. ეროზია
- 4. ოროგრაფია
- 5. ჰიდროგრაფია
- 6. გლაციალური

(4) 22. დაადგინეთ შესაბამისობა მსოფლიოს რეგიონებსა და მათში მდებარე ქალაქებს შორის:

მსოფლიოს რეგიონი:


ქალაქი:

- |                                  |               |
|----------------------------------|---------------|
| A. ჩრდილოეთ ამერიკა              | 1. მონრეალი   |
| B. ჩრდილოეთ ევროპა (სკანდინავია) | 2. კარაკასი   |
| C. ლათინური ამერიკა              | 3. ბრიუსელი   |
| D. დასავლეთ ევროპა (ბენილუქსი)   | 4. დუბლინი    |
|                                  | 5. რეიკიავიკი |
|                                  | 6. ვარშავა    |

V – რუკაზე შეცდომის აღმოჩენა და მისი გასწორება

დავალებაში მოცემულია კონტურული რუკა, რომელზეც გარკვეული ინფორმაცია შეცდომითაა დატანილი. იპოვეთ რუკაზე დაშვებული შეცდომები და გამოსწორეთ ისინი. სწორდება როგორც შეცდომა, ისე მისი გამოსწორებული ვარიანტი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

(6) 23. იპოვეთ საქართველოს კონტურულ რუკაზე დაშვებული 3 (სამი) შეცდომა და გამოსწორეთ ისინი.



(6) 24. იპოვეთ მსოფლიოს კონტურულ რუკაზე დაშვებული 3 (სამი) შეცდომა და გამოასწორეთ ისინი.



## VI – ტოპოგრაფიული რუკის ანალიზი

### ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული ტოპოგრაფიული რუკა. რუკის ლეგენდის გამოყენებით, უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

(11) **25. ყურადღებით შეისწავლეთ ტოპოგრაფიული რუკა და უპასუხეთ კითხვებს.**

(1) **25.1.** რომელი მდინარე ჩაედინება ისლისებრ-ლერწმიანი მცენარეულობით დაფარულ ძნელადგასავალ ჭაობში?

ა. ქცია

ბ. პო

გ. ძანა

დ. თორი

ე. ხრამი

(1) **25.2** რა მიმართულებით მდებარეობს ბოყვის დასახლება წრომის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე ტბორიდან?

(2) **25.3.** გამონდება თუ არა მდ. ხრამის შესართავიდან ძერიანთა ტყის პირას მდებარე მეტეოსადგური? პასუხი დაასაბუთეთ.


(2) **25.4.** ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილ რომელ მდინარეებზე მდებარეობს წყლის წისკვილები?

(2) **25.5.** გამდინარია თუ გაუდინარი შავი ტბა? დაასაბუთეთ.


(3) **25.6.** რუკაზე დატანილი რომელი ადგილისთვის არის დამახასიათებელი ძლიერი ქარები? რა მიმართულების ქარია გაბატონებული ამ ადგილში? დაასაბუთეთ თქვენი ვარაუდი.



▲ 215,8 სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტი  
 ☆ 157,9 იგივე ყორღანზე  
 დასახლებული პუნქტები და  
 მათი მონაწილეობა



**ბოყვი**  
**ბარდნალა**  
**წრომი**  
 60  
 შპრ. სნო



რაფიონები და სატელეფონო ანძები □ საქონლის სასაფლაოები  
 ▲ ცალკეული საფლაოები | ჯვრები და რელიგიური გამოსახულებები, რომლებსაც ორიენტირის ფუნქცია გააჩნია  
 □ ხშირი ხემცენარეულობით დაფარული სასაფლაოები  
 □ ძველები, მონუმენტები, სკულპტურული ფიგურები


**ბადალოპვის ტიპები**  
 რკინაბეტონის, ქვის და აგურის გადაღობვები  
 ხის ღობეები, ყორღები და ღობეწნულები  
 მავთულხლართის გადაღობვები

1:10 000



**პირობითი ნიშნები**


საბზარო ძსქალი



კვირთიანდაგის რკინიგზა  
 ვიხურები, ასაქცევები, ყაზარმები და ნიხები  
 სადღურები (ა), შუქნიშნები, ანბისებური შუქნიშნები  
 რკინიგზა ნაყარზე (ა) და ნალარში (ბ) (2-სიმაღლე ან სითრმე), გზისქვეშა მიწები  
 დაშლილი რკინიგზის ხაზები  
 ვიწროლიანდაგის რკინიგზა  
 მისე (10-გზის დაგებული ნაწილის სივანე, 12-მთლიანი სივანე სანიაღვრეებს შორის მ-ში)  
 გაუმჯობესებული გზის გზა (6-საგალი ნაწილის სივანე მ-ში), გზის ძველადგასაყვანი მონაკვეთები  
 ხის საფარის გზები  
 ტყესა და მინდვრებზე გამავალი გზები  
 ზამთრის გზები  
 კოლმეტრების ნიშნულები  
 გზების, მდინარეების და არხების გასწვრივი ნარგავები


**პირობითი ნიშნები**

მდინარეების სივანე: 1) 3 მ-მდე; 2) 3-დან 5 მ-მდე; 3) 5 მ და მეტი სივანის - რუკის მასშტაბის მიხედვით  
 მტკნარი ტბები, ტბორები  
 მდინარის კალაპოტები, რომლებიც ვხადავა ა ბ გ  
 ეკარგვიანი შრობადი ნაკადები  
 ნაპირის აბსოლუტური სიმაღლე მაჩვენებლები  
 დინების მიმართულების მაჩვენებელი ისრები, 0,1 - დინების სიქარე მ/წმ-ში  
 მდინარეების მახასიათებლები: 50-სივანე, 1,4- სიღრმე მ-ში, ქ-ფსკერის გრუნტის მაჩვენებელი  
 ფიხები და მათი მახასიათებლები: 0,6-სიღრმე, 17-სივანე მ-ში, ქ-ფსკერის გრუნტის მაჩვენებელი, 0,1-დინების სიქარე მ/წმ-ში  
 რკინის ერთთაღიანი ხიდები  
 ქვის, ბეტონის და რკინაბეტონის ერთთაღიანი ხიდები  
 ქვის, ბეტონის და რკინაბეტონის მრავალთაღიანი (სამთაღიანი) ხიდები  
 ხის ხიდები ერთთაღიანი ხიდების სივანე: 1) 3 მ-ზე ნაკლები, 2) 3-დან ხიდების მახასიათებლები: 30-სივანე, 6-საგალი ნაწილის სივანე მ-ში, 10-ტვირთამწვეობა ტ-ში  
 პლატინები და დამბები, რომლებზედაც გადის გზები  
 ჭები (147,3-ჯის ზედაპირის სიმაღლე მიწასთან (ზღდ.), 4-6-ჯის სიღრმე მ-ში წყლის დონემდე და ჭის ძირამდე)




ა) ჭები ქარის ძრავით, ბ) წყაროები

**ტოპოგრაფიულ რუკაზე მიღებული შიშოკლებები**  
 არხის ხე ავტომობილების და ტრაქტორების სახელოსნო ბეტონის თიხა სადღური ფქვილის ქარხანა სასოფლო საბჭო ტბორი ფერმერული მეურნეობა ფიჭვის ხე  
 ქვიშა ქვის კარიერი ქვიშის კარიერი ყაზარმა შახტა ნახშირის ცხენსაშენი ქარხანა წყალსაქანი კომპო ჭა ვიხური



**მცენარეული საფარი და ბრუნტი**  
 ფართოფოთლოვანი ტყე  
 შერეული ტყე  
 წიწვოვანი ტყე  
 ხეების მახასიათებლები მ-ში: 12-საშ. სიმაღლე, 0,20-მეტრის საშ. სისქე, 5-ხეებს შორის საშუალო მანძილი  
 ტყის და ხის ნარგავების ვიწრო ორმოები 15მ სივანით და 3მ სიმაღლით (6-ხეების საშ. სიმაღლით)  
 ცალკეული კორმები: ა) წიწვოვანი, ბ) ფართოფოთლოვანი, გ) შერეული  
 ცალკე მდგომი ხეები, ორიენტირები  
 ცალკე მდგომი ხეები, რომლებიც არ წარმოადგენენ ორიენტირებს



ა) სახნავი მიწები, ბ) ბოსტნები  
 ა) მონწობილი ქვიშნარები, ბ) თღობილი ზედაპირები  
 ა) 1 მ-ზე დაბალი სიმაღლის დაბალბაღახეულობა, ტენის მოყვარული მცენარეულობა ( ისლი, წყლის ბაშბა);  
 ბ) კამიშები და ლერწმები  
 ძველადგასაყვანი და გაუყვანი ჭაობები (0,7 - ჭაობის სიღრმე მ-ში)  
 ა) დაბალბაღახეულობა ადგილად გასაყვანი ჭაობები (ისლისებრი და სხვა); ბ) დაჭაობებული მდელის ტიპი



VII – ინფორმაციის ტრანსფორმაცია

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი დიაგრამები და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. დავალების მაქსიმალური ქულაა 10.

(10) 26. ყურადღებით გაეცანით წრეწირვან დიაგრამებს და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

მსოფლიოსა და აზიის რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ამსახველი წრეწირვანი დიაგრამები:




■ 60 და მეტი ■ 0-14 წელი ■ 15-59 წელი

■ 60 და მეტი ■ 0-14 წელი ■ 15-59 წელი

მსოფლიოს მთლიანი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის

ამსახველი წრეწირვანი დიაგრამა:

**C**



■ 60 და მეტი ■ 0-14 წელი ■ 15-59 წელი

**კითხვები:**

- (1) **26.1.** რომელი დიაგრამა, **A** თუ **B**, ასახავს ევროპის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას?
- (6) **26.2.** დაასახელეთ ევროპისა და აზიის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განსხვავებების განმსაზღვრელი მიზეზები და მათი (ამ მიზეზების) გამომწვევი ფაქტორები (დაასახელეთ 2 მიზეზი და მათი განმაპირობებელი 2-2 ფაქტორი)?
- (1) **26.3.** როგორ ახსნით, რითია გამოწვეული **C** დიაგრამაზე ასახული სურათი?
- (2) **26.4.** რატომ არის, რომ სამივე დიაგრამაზე მოყვანილი ციფრების ჯამი ტოლია?

**VIII – გეოგრაფიული პრობლემის ანალიზი**

**ინსტრუქცია**

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც აღწერილია გეოგრაფიული ობიექტი. ტექსტს თან ახლავს კითხვები. გააანალიზეთ ტექსტში დასმული პრობლემატიკა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილებზე. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

- (6) **27. ყურადღებით გაეცანით ტექსტს, გააანალიზეთ და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.**

ეს ქალაქი მდინარის შესართავსა და ტბას შორის მდებარეობს. იგი თბილისიდან 312 კმ-ით არის დაშორებული. მისი ძველი სახელწოდება პირველად ისტორიულ წყაროებში ძვ.წ. VIII ს-ში მოიხსენიება. დღესდღეობით მისი მოსახლეობა 47 ათას კაცს შეადგენს. იგი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო და სამრეწველო ცენტრია.

აი, რას წერდა ამ ქალაქის თავი 1871 წელს: „ქალაქის ადგილ-მდებარეობის უცუდეში მხარე ის არის, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია; დიდი წვიმებისა და მდინარის წყალდიდობის დროს ქალაქი წყლით სავსეა . . . რასაკვირველია, ამისთანა დაცემულს და წყლიან ადგილს მეტად ნოტიოიანი ჰავა აქვს.

ქალაქის გასაშრობად საჭიროა მდინარის ნაპირის დაგუბვა და ამადლება, მთელი ქალაქის სივრცეზე დიდძალი ქვიშის მოყრა და რუების გაყვანა . . . ქალაქს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდეგ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობა. ერთი მხრით ევროპასა და მეორე მხრით საქართველოს, შუა აზიას და სპარსეთს შორის და ქალაქს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა.“



**კითხვები:**

(2) **27.1.** დაასახელეთ ტექსტში აღწერილი ქალაქის უძველესი და თანამედროვე სახელწოდებები.

(2) **27.2.** რომელ ჰიდროგრაფიულ ერთეულებს შორის არის მოქცეული ტექსტში მოყვანილი ქალაქი (დაასახელეთ თითოეული)?

(1) **27.3.** დანიშნულების თვალსაზრისით, როგორი ტიპის პორტი მდებარეობს აღწერილ ქალაქში?

(1) **27.4.** რას უწოდებენ დღეს ტექსტში აღწერილ სტრატეგიულ სატრანსპორტო-სავაჭრო მიმართულებას, რომელიც ამ ქალაქზე გადის?

№	სწორი პასუხები	ქულა										
1	ბ	1										
2	ბ	1										
3	ა	1										
4	ბ	1										
5	ბ	1										
6	ა	1										
7	რ	1										
8	ე	1										
9	ბ	1										
10	ბ	1										
11	რ	1										
12	რ	1										
13	რ	1										
14	ე	1										
15	2, 5, 3, 1 – 2 ქულა	2										
16	4, 1, 3 – 2 ქულა	2										
17	<table border="1" data-bbox="528 1460 1123 1693"> <thead> <tr> <th data-bbox="528 1460 592 1518">№</th> <th data-bbox="592 1460 1123 1518">გამოტოვებული სიტყვები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="528 1518 592 1576">1</td> <td data-bbox="592 1518 1123 1576">სტატისტიკის</td> </tr> <tr> <td data-bbox="528 1576 592 1635">2</td> <td data-bbox="592 1576 1123 1635">აღწერის</td> </tr> <tr> <td data-bbox="528 1635 592 1693">3</td> <td data-bbox="592 1635 1123 1693">ბუნებრივი მოძრაობის</td> </tr> </tbody> </table>	№	გამოტოვებული სიტყვები	1	სტატისტიკის	2	აღწერის	3	ბუნებრივი მოძრაობის	3		
№	გამოტოვებული სიტყვები											
1	სტატისტიკის											
2	აღწერის											
3	ბუნებრივი მოძრაობის											
18	<table border="1" data-bbox="469 1693 1062 1982"> <thead> <tr> <th data-bbox="469 1693 533 1751">№</th> <th data-bbox="533 1693 1062 1751">გამოტოვებული სიტყვები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="469 1751 533 1809">1</td> <td data-bbox="533 1751 1062 1809">ლანდშაფტური</td> </tr> <tr> <td data-bbox="469 1809 533 1868">2</td> <td data-bbox="533 1809 1062 1868">6,9%-ს</td> </tr> <tr> <td data-bbox="469 1868 533 1926">3</td> <td data-bbox="533 1868 1062 1926">ლაგოდეხის</td> </tr> <tr> <td data-bbox="469 1926 533 1982">4</td> <td data-bbox="533 1926 1062 1982">1912</td> </tr> </tbody> </table>	№	გამოტოვებული სიტყვები	1	ლანდშაფტური	2	6,9%-ს	3	ლაგოდეხის	4	1912	3
№	გამოტოვებული სიტყვები											
1	ლანდშაფტური											
2	6,9%-ს											
3	ლაგოდეხის											
4	1912											

№	სწორი პასუხები						ქულა								
19		1	2	3	4	5	6	4							
	A			X											
	B					X									
	C	X													
	D						X								
20		1	2	3	4	5	6	4							
	A				X										
	B			X			X								
	C						X								
	D		X												
21		1	2	3	4	5	6	4							
	A				X										
	B			X											
	C		X												
	D	X													
22		1	2	3	4	5	6	4							
	A	X													
	B					X									
	C		X												
	D			X											
23	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th data-bbox="263 1489 863 1568" style="width: 50%;">შეცდომითაა მოცემული</th> <th data-bbox="863 1489 1348 1568" style="width: 50%;">უნდა იყოს</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="263 1568 863 1646">ქუთაისი</td> <td data-bbox="863 1568 1348 1646">სამტრედია</td> </tr> <tr> <td data-bbox="263 1646 863 1724">ხარულის ქედი</td> <td data-bbox="863 1646 1348 1724">რაჭის ქედი</td> </tr> <tr> <td data-bbox="263 1724 863 1803">მდ. ყვირილა</td> <td data-bbox="863 1724 1348 1803">მდ. ცხენისწყალი</td> </tr> </tbody> </table>						შეცდომითაა მოცემული	უნდა იყოს	ქუთაისი	სამტრედია	ხარულის ქედი	რაჭის ქედი	მდ. ყვირილა	მდ. ცხენისწყალი	6
	შეცდომითაა მოცემული	უნდა იყოს													
	ქუთაისი	სამტრედია													
	ხარულის ქედი	რაჭის ქედი													
მდ. ყვირილა	მდ. ცხენისწყალი														

№	სწორი პასუხები	ქულა										
24	<table border="1"> <thead> <tr> <th data-bbox="261 241 860 320">შეცდომითაა მოცემული</th> <th data-bbox="860 241 1347 320">უნდა იყოს</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="261 320 860 398">ტორესის სრუტე</td> <td data-bbox="860 320 1347 398">ბასის სრუტე</td> </tr> <tr> <td data-bbox="261 398 860 477">კ. სუმატრა</td> <td data-bbox="860 398 1347 477">ფილიპინების კ-ბი</td> </tr> <tr> <td data-bbox="261 477 860 555">ამაზონის დაბლობი</td> <td data-bbox="860 477 1347 555">ლა-პლატის დაბლობი</td> </tr> <tr> <td data-bbox="261 555 860 633">რსფსრ</td> <td data-bbox="860 555 1347 633">რუსეთი/ რუსეთის ფედერაცია</td> </tr> </tbody> </table>	შეცდომითაა მოცემული	უნდა იყოს	ტორესის სრუტე	ბასის სრუტე	კ. სუმატრა	ფილიპინების კ-ბი	ამაზონის დაბლობი	ლა-პლატის დაბლობი	რსფსრ	რუსეთი/ რუსეთის ფედერაცია	6
	შეცდომითაა მოცემული	უნდა იყოს										
	ტორესის სრუტე	ბასის სრუტე										
	კ. სუმატრა	ფილიპინების კ-ბი										
	ამაზონის დაბლობი	ლა-პლატის დაბლობი										
რსფსრ	რუსეთი/ რუსეთის ფედერაცია											
25.1	<b>დ</b>	1										
25.2	სამხრეთ-აღმოსავლეთის/ აღმოსავლეთის მიმართულებით	1										
25.3	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ არ გამოჩნდება – 1 ქულა</li> <li>❖ რადგან მათ შორის მდებარეობს 159,7 მ სიმაღლის მთა, ხოლო თავად ეს ობიექტები 129,4 მ (მდ. ხრამის შესართავი) და 150 მ (მეტეოსადგური) სიმაღლეებზე მდებარეობენ.</li> </ul>	2										
25.4	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ მდ. გონაზე – 1 ქულა</li> <li>❖ მდ. იოზე – 1 ქულა</li> </ul>	2										
25.5	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ შავი ტბა გამდინარი ტბაა – 1 ქულა</li> <li>❖ რადგან ტოპოგრაფიულ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ მასში ჩაედინება მდინარეები – ქცია, პო, ძანა და გამოედინება მდ. იო – 1 ქულა</li> </ul>	2										

№	სწორი პასუხები	ქულა
25.6	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ძერიანთა ტყის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისთვის დამახასიათებელია ძლიერი ქარები / წრომის სასოფლო საბჭოსა და ძერიანთას ტყეს შორის ქრიან ძლიერი ქარები/ მდ. გონას ხეობაში წრომის სასოფლო საბჭოსა და ძერიანთას ტყეს შორის ქრის ძლიერი ქარი – 1 ქულა</li> <li>❖ რადგან სწორედ ამ ადგილში გვხვდება საკმაოდ დიდ ფართობზე გადაჭიმული ქარქცეული ტყის მასივი – 1 ქულა</li> <li>❖ ტოპოგრაფიული ნიშნებიდან გამომდინარე, ეს უნდა იყოს დასავლეთის ქარი, რადგან ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრავება ძერიანთა ტყის კორომი; ასე რომ ძლიერი ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ქარები გამორიცხულია, ხოლო დასავლეთიდან მოშიშვლებული ფერდობიდან სავსებით შესაძლებელია ძლიერი ქარების მოქმედება – 1 ქულა</li> </ul>	3
26.1	ევროპის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას ასახავს A- დიაგრამა (B- აზიის).	1

№	სწორი პასუხები	ქულა
26.2	<p>ევროპისა და აზიის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განსხვავებების განმსაზღვრელი მიზეზებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ შობადობა ევროპაში დაბალია, აზიაში მაღალი – 1 ქულა</li> <li>❖ სიცოცხლის ხანგრძლივობა ევროპაში მაღალია, აზიაში დაბალი – 1 ქულა</li> </ul> <p>ამ მიზეზების გამომწვევი ფაქტორებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ევროპაში: ქალთა ემანსიპაცია, ქალთა დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა, ცხოვრების მაღალი დონე და მოთხოვნები, გვიანი ქორწინება, განათლების დონე (ოჯახის დაგეგმვა) – ნებისმიერი ორი ფაქტორი – 2 ქულა</li> <li>❖ აზიაში: ნაადრევი ქორწინება, რელიგიური ფაქტორი, ქალის ნაკლები ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში (ეკონომიკაში), განათლების დაბალი დონე, სიღარიბის მაღალი დონე – ნებისმიერი 2 ფაქტორი – 2 ქულა</li> </ul>	6
26.3	<p>მსოფლიოს მთლიან მოსახლეობაში იმ ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა (წილი) ჭარბობს, სადაც დამახასიათებელია ანალოგიური ტენდენცია.</p>	1
26.4	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ სამივე დიაგრამაზე მოყვანილი ციფრების ჯამი ტოლია იმიტომ, რომ ისინი ასახავენ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის წილობრივ (პროცენტულ) განაწილებას – 2 ქულა</li> <li>❖ ჯამი ყოველა დიაგრამაზე 100%-ის ტოლია – 1 ქულა</li> </ul>	2
27.1	ფაზისი (1) და ფოთი (1)	2
27.2	მდ. რიონი (1) და პალისატომის ტბა (1)	2
27.3	უნივერსალური/ სამრეწველო/ საერთაშორისო	1
27.4	“ევრაზიულ დერეფანს”/ “ტრასეკა”	1